

საქართველოს მთავრობის
დადგენილება
N15 2011 წლის 13 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო შემოსულობისა და იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით დამტკიცების და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას) აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის თაობაზე *(17.09.2012 N 389)*

მუხლი 1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას საპრივატიზებო შემოსულობა და იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის აუქციონის ფორმით პრივატიზებისას მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო თანხა (დანართი №1) და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას) აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასური (დანართი №2) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. *(17.09.2012 N 389)*

მუხლი 2. ამ დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა. *(17.09.2012 N 389)*

მუხლი 3. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების თაობაზე 2011 წლის 1 იანვრამდე შემოსულ განცხადებებზე, მიწის ნაკვეთის საფასურის გამოთვლასთან დაკავშირებით, ვრცელდება 2011 წლის 1 იანვრამდე არსებული წესი.

მუხლი 3¹. ამოღებულია *(17.09.2012 N 389)*

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დანართი №1 (8.12.2011 N 464 ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 19 აგვისტოს №659 ბრძანებულებაში შესაბამისი ცვლილების ამოქმედებისთანავე)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო ფასები
კატეგორიის მიხედვით

N	ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული	1 ჰა/ლარი		
		სახნავი	სათიბი	სამოვარი
1	თბილისი	1000	200	135
2	მარნეული	1000	200	135
3	ბოლნისი	1000	200	135
4	რუსთავი	1000	200	135
5	გარდაბანი	1000	200	135
6	დედოფლისწყარო	1000	200	135
7	გურჯაანი	1000	200	135
8	თელავი	1000	200	135
9	სიღნაღი	1000	200	135
10	ლაგოდეხი	1000	200	135
11	მცხეთა	1000	200	135
12	ყვარელი	1000	200	135
13	ახმეტა	1000	200	135
14	გორი	1000	200	135
15	დმანისი	1000	200	135
16	ბათუმი	1000	200	135
17	ქობულეთი	1000	200	135
18	ხელვაჩაური	1000	200	135
19	კასპი	700	200	135
20	თეთრიწყარო	700	200	135
21	სამტრედია	700	200	135
22	საგარეჯო	700	200	135
23	ხაშური	700	200	135
24	ქარელი	700	200	135
25	ახალციხე	700	200	135
26	ახალქალაქი	700	200	135
27	წალკა	700	200	135
28	ზუგდიდი	700	200	135
29	აბაშა	700	200	135
30	ფოთი	700	200	135
31	სენაკი	700	200	135
32	ხობი	700	200	135

33	მარტვილი	700	200	135
34	ნინოწმინდა	700	200	135
35	ახალგორი	500	200	135
36	ზესტაფონი	500	200	135
37	ვანი	500	200	135
38	ოზურგეთი	500	200	135
39	ლანჩხუთი	500	200	135
40	ქუთაისი	500	200	135
41	თერჯოლა	500	200	135
42	ბაღდათი	500	200	135
43	ხონი	500	200	135
44	ჩხოროწყუ	500	200	135
45	წალენჯიხა	500	200	135
46	წყალტუბო	500	200	135
47	ცაგერი	500	200	135
48	საჩხერე	500	200	135
49	ბორჯომი	300	200	135
50	ადიგენი	300	200	135
51	დუშეთი	300	200	135
52	თიანეთი	300	200	135
53	ამბროლაური	300	200	135
54	ასპინძა	300	200	135
55	ტყიბული	300	200	135
56	მესტია	300	200	135
57	ყაზბეგი	300	200	135
58	ჭიათურა	300	200	135
59	ლენტეხი	300	200	135
60	ონი	300	200	135
61	ხარაგაული	300	200	135
62	ჩოხატაური	300	200	135
63	ხულო	300	200	135
64	შუახევი	300	200	135
65	ქედა	300	200	135.

დანართი №2 (17.09.2012 N 389)

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას) აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის წლიური საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასური კატეგორიის მიხედვით		
№	მიწის კატეგორია	1 ჰა/ლარი
1	საძოვარი	15 ლარი

2	საძოვარი (ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში)	8 ლარი
---	---	--------